



შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის

ბრძანება №1/11

ქ. თბილისი

08.05.2017 წ.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე ვაკანსიის გამოცხადების შესახებ

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდებისა და "მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში გამოცხადდეს ვაკანსია დანართი 1-ში მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე.
 - პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
 - IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
2. შრომითი/მომსახურეობის ხელშეკრულების გასაფორმებლად პირმა უნდა წარმოადგინოს:
- წერილობითი განცხადება;
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ავტობიოგრაფია (CV);
 - ერთი ფოტო სურათი ფორმით 3X4;
 - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
 - მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში).
3. საბუთების წარმოდგენის ვადა 2017 წლის 08 მაისიდან 10 მაისამდე.
4. ბრძანება განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კ/მ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორი

ს. მაჭარაშვილი/



ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის საგნობრივი პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამა

1. საოფისე კომპიუტერული პროგრამები -1 ვაკანტური ადგილი
2. კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია-1 ვაკანტური ადგილი
3. ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები -1 ვაკანტური ადგილი
4. სასწავლო პრაქტიკა -1 ვაკანტური ადგილი
5. საინფორმაციო ტექნოლოგიები -1 ვაკანტური ადგილი